

ტექნიკური პირობები:

1. შესასრულებელი სამუშაოები იხ. ფასების ცხრილში.

2. უსაფრთხოების წესები:

ა) სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიება უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე;

გ) სამშენებლო მასალების დაწყობა და შენახვა უნდა წარმოებდეს შემდეგი წესის დაცვით: წვებადი მასალების შენახვა დაწესებულ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების ფარგლებში დაუშვებელია;

დ) ზეთის, საღებავების, ოლიფის, ზეთისა და საგოზავი მასალების სხვა წვად მასა- ლებთან ერთად შენახვა არ დაიშვება.

3. გამოყენებული მასალები და სამუშაოების შესრულების წესი:

ა) ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს, რაც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა დადასტურდეს კონკრეტულ მასალებზე დაკავშირებით წარმოდგენილი სერთიფიკატებით ან/და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტით. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო საგანი, მოწოდებული კონტრაქტის ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილები არ მიიღება და მათი გამოყენება არ იქნება ნებადართული.

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასა- ლა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოსწოროს, წარმოადგინოს შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და შეასრულოს სამუშაო;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე ყოველდღიურად აწარმოოს სამუშაოების მიმდინარეობის ჟურნალი, რომელიც უნდა იყოს აკინძული დანომრილი და ბეჭედდასმული და რომელშიც ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს წარმოებული სამუშაოების შესახებ მონაცემების შეტანა რასაც ხელწერით უნდა ადასტურებდენ სამუშაოების მწარმოებელი და ტექნიკური ზედამხედველის წამომადგენელი;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე ყოველდღიურად აწარმოოს მასალების მოძრაობის ჟურნალი, მასალების მოძრაობის ჟურნალი უნდა იყოს აკინძული დანომრილი და ბეჭედდასმული, რომელშიც ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს მასალების მოძრაობის შესახებ მონაცემების შეტანა რასაც ხელწერით უნდა ადასტურებდენ სამუშაოების მწარმოებელი და ტექნიკური ზედამხედველის წამომადგენელი;

ე) მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოადგინოს გამოყენებული მასალების სამშენებლო ნორმებთან, ხელშეკრულების პირობებთან, სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (დოკუმენტაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე).

ვ) ბეტონის სამუშაოებზე მიმწოდებელმა უნდა დაიცვას არსებული ნორმები, მათ შორის ბეტონის მომზადებისა და ჩასხმის ვადები, რათა დაცული იქნას ვარგისიანობა და კლასი.

4. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;

დ) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ტექნიკურ ზედამხედველთან;

ე) შენობის გასასვლელები, სამუშაო ადგილები, დერეფნები და ა.შ. აუცილებლად რეგულარულად უნდა სუფთავდებოდეს;

ვ) სამუშაოების დასრულების (ან/და ეტაპის) შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 3 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

5. ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშაოებზე:

ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ექსპერტიზის დასკვნაში ცალსახად და არაორაზროვნად უნდა იყოს მითითებული, რომ სამუშაოების და მასალების მოცულობები და ხარისხი სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე მითითებული უნდა იყოს შესრულებული სამუშაოების ზუსტი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნა არ მიიღება.

6. მიმწოდებელი ვალდებული იქნება სკოლასთან ერთად მოაგვაროს გარე კომუნიკაციების მიერთება/ნებართვის მოპოვება (წყალი, დენი). მის მიერ გადახდილი თანხები ანაზღაურდება სარეზერვო ტანხიდან, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით.